

# გაეროსთან აკრედიტებული ედრები ხურვადეთში საოკუპაციო ხაზთან ჩავიდნენ



გაეროში ფინეთის, ეკვადორის, ღომინიკის რესპუბლიკის, მარშალის კუნძულების, ესვატინის სამეფოს და მიკრონეზიის ფედერალური შტატების მუდმივი წარმომადგენლების სამუშაო ვიზიტი საქართველოში

## **გრძელება .**

წეროვანში იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების მონახურების შემდეგ ედრები ხურვადეთში ჩავიდნენ და საოკუპაციო ხაზთან არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ. გაეროში საქართველოს ედრიმა მათ სრული ინფორმაცია მიაწოდა გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობის პრობლემებზე და ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტებზე.

საქართველოში გაეროსთან აკრედიტებული ედრების სამუშაო ვიზიტის მიზანია გაეცნონ პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, რეფორმირებისა და უსაფრთხოების კუთხით საქართველოში არსებულ ვითარებას. ედრები ინფორმაციას მიიღებენ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების, ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების და ტურისტული პოტენციალის შესახებ.

ოკუპირებული ტერიტორიების თემას დღეს ასევე შეეხო რუმინეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. მამუკა ბახტაძის განცხადებით, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული კატასტროფაა.

*“ვსარგებლობ შემთხვევით და მაღლობას ვუხდი ჩვენს კორეგებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისთვის. შეხვედრებზე განვიხილეთ საქართველოში არსებული*

ძარიან მტკივნეული გამონწვევები.

რუსეთის ფედერაცია აგრძელებს ჩვენი ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციას. სიტუაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით კატასტროფურია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გვაქვს ჰუმანიტარული კატასტროფა ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე”, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ რუმინერ კოლეგა ვასილიკა-ვიორიკა დენჩილასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე .